2014 წელი, 17 აპრილი - 1 მაისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№15 (649) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 1 მაისს

CMYK

პირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პირველკლასელთა რეგისტრაციას 2014–2015 სასწავლო წლისათვის.

რეგისტრაცია განხორციელდება 3 ეტაპად.

I ეტაპი – რეგისტრაცია დაიწყება 2014 წლის 23 აპრილს და დასრულდება 2 მაისს.
სკოლაში რეგისტრირდებიან ის მოსწავლეები:
– რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
– რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
– რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.
პირველ ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2014 წლის 5 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით.

II ეტაპი – ონლაინ რეგისტრაცია – რეგისტრაცია დაიწყება **2014 წლის 20 მაისს და დასრულდება 20 ივნისს.**
ნებისმიერი მოსწავლის დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება ონლაინ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე.

II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2014 წლის 23 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით.

III ეტაპი – რეგისტრაცია დაიწყება 2014 წლის 10 ივლისს და დასრულდება 2014 წლის 18 ივლისს.
წინა ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, გამოთავისუფლებულ ადგილზე, განხორციელდება იმ მოსწავლეების რეგისტრაცია, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I და II ეტაპზე და წარადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

2014-2015 სასწავლო წელს, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდებათ 6 წელი ან 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლის დაწყების მოსამზადებელ კლასში/განყოფილებაზე და 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდებათ 5 წელი.

ინფორმაცია

პროექტის „ჩემი დედაენა“ ანიმაციური 3D პროგრამის პრეზენტაცია

„დედა ენის“ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტის „ჩემი დედა ენა“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** დაესწრო.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის პირადი საარქივო მასალა: „დედა ენის“ შავი ნაწერები, საყმაწვილო ლექსების რვეული, გოგებაშვილის ავტოგრაფი ჩასწორებული აკაკი წერეთლის ხელით, იაკობ გოგებაშვილის წერილები აკაკი წერეთელთან, ასევე, წერილები, რომლებიც ასახავენ იაკობ გოგებაშვილის ქველმოქმედებას, გაწეულს ქართველი სტუდენტებისათვის (ნოე ჟორდანიას სამადლობელი წერილი მისთვის სწავლის პერიოდში ფულის გაგზავნისათვის), ჩანაწერები თუ როგორ უნდა გავრცელდეს „დედა ენა“ აფხაზეთში, აჭარასა და სამეგრელოში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოსკარ შმერლინგის მიერ საგანგებოდ „დედა ენისათვის“ შექმნილი ილუსტრაციების ორიგინალები და პირველნაბეჭდი „დედა ენის“ სტამბური კლიშეები.



ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო ანიმაციური 3D პროგრამა: „როგორ იქმნებოდა დედა ენა“ – განვითარებულ სამუზეუმო სივრცეში. ისტორიული მემკვიდრეობის წარსადგენად, დღეს, სულ უფრო აქტიურად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, რათა ძველი უფრო მომხიბლავი და გასაგები გახდეს თანამედროვე თაობისათვის.

გამოფენის ფარგლებში შექმნილი ანიმაცია ქართულ სამუზეუმო სივრცეში ამგვარი პროდუქტის გამოყენების პირველი მცდელობაა.

ოლიმპიადა

„ხომ ლამაზია ეს საქართველო“

ადამიანს პიროვნული და კულტურული თვითშემეცნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის სრულფასოვანი შესწავლა სჭირდება.ერისა და საზოგადოების ერთიან ორგანიზმად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია საკუთარი ფესვების მქონე თაობის აღზრდა, ინდივიდების შემაკავშირებელი უმთავრესი ფაქტორი კი დედაენაა.

ქართული სახელმწიფო, საუკუნეების განმავლობაში, ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ენას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ ღირებულებას. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ 14 აპრილი „დედაენის“ დღედ გამოცხადდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება პრიორიტეტულია „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვითა და საგანმანათლებლო ფირმა „ჩაღლარის“ ორგანიზებით, „დედაენის“ დღესთან დაკავშირებით, ყოველწლიურად, ტარდება ქართული ენის რესპუბლიკური ოლიმპიადა. აღნიშნული ღონისძიება აპრილის თვის მეორე კვირას ტარდება და მასში მონაწილეობა უფასოა.

„დედაენის“ ოლიმპიადა წელს უკვე მეშვიდედ ტარდება. ყოველწლიურად იზრდება მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. 2013 წელს ოლიმპიადაში, საქართველოს მასშტაბით, მონაწილეობა მიიღო 650 მოსწავლემ, წელს კი შესარჩევ ტურში, რომელიც 5 აპრილს გაიმართა, 1290 მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსანტები 6 კატეგორიაში ცდიდნენ საკუთარ შესაძლებლობებს. ეს კატეგორიებია: კალიგრაფია, მხატვრული კითხვა, გრამატიკა, კოპოზიცია, ლექსი. დაწყებითისკოლის I-VI კლასელების მონაწილეობით წინასწარი შესარჩევი ტური ტარდება ფინალურ ტურამდე 1 კვირით ადრე, „ჩაღლარის“ ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულება „სხივში“.

12 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი „ქართული ენის ოლიმპფიადა“ წელს მეშვიდედ აღინიშნა. მასში მონაწილეობდნენ დაწყებითი კლასების მოსწავლეები. კონკურსანტები ძალებს ცდიდნენ 6 კატეგორიაში: დეკლამაცია, კალიგრაფია, სიმღერა, ლექსი, კითხვა, მართლწერა.

ოლიმპიადის მონაწილეები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ. გამოვლინდნენ გამარჯვებულები კატეგორიების მიხედვით. I ადგილები დაიკავეს: **ლუკა მუხიგულაშვილმა** (183-ე საჯარო სკოლა), **ვუსალ შარიფოვმა** (მარნეულის სკოლა), **ქეთი ბზიკაძემ** (ქუთაისი), **გიუნელა ბუზაროვამ** (რუსთავი), **თეკლა სვანიძემ** (ზესტაფონი), **ანა გიუნაშვილმა** (პატარძეული), **თიკო ფხალაძემ** (რუსთავის 23-ე საჯარო სკოლა), **მარიამ გიგოლაშვილმა** (მე-2 საჯარო სკოლა), **ნინი გაგოშიძემ** (70-ე საჯარო სკოლა), **ნინო შენგელაიამ** (75-ე საჯარო სკოლა), **ნინო მჭედლიშვილმა** (მარტყოფის მე-2 საჯარო სკოლა), **ელენე წამალაიძემ** (წეროვნის საჯარო სკოლა), **ნინო ხებერაშვილმა** (საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლა), **ვასილ კუსიანმა** (175-ე საჯარო სკოლა), **ლუკა ეძგვერაძემ** (სკოლა „სხივი“), **მარიამ ძებისაშვილმა** (149-ე საჯარო სკოლა), **ანი ჯანჯღავამ** (120-ე საჯაროსკოლა).

კონკურსი ყოველ წელს ტარდება როგორც ქართულენოვან ბავშვებს შორის, ასევე, საქართველოში მცხოვრებ არაქართულენოვან ბავშვებს შორისაც. ღონისძიებაში, თბილისის „ჩაღლარის“ სკოლებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ბავშვებიც მონაწილეობდნენ, აგრეთვე, არაქართულენოვანი ბავშვებიც.

ბავშვების მიერ წაკითხულმა ლექსებმა და სიმღერებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით კი ჩაღლარის მარნეულის რაიონის აღმაშენებლის სკოლის მე-5 კლასელმა, **ვუსალ შერიფოვმა**, ქართულ ენაზე წაკითხული ლექსით – „ხომ ლამაზია ეს საქართველო“.

სოხუმის საელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, **ჯონი აფაქიძემ** საუკეთესო კალიგრაფი დააჯილდოვა; მსახიობმა, **ჯემალ ღაღანიძემ** – საუკეთესო მკითხველი; მომღერალმა, **მამუკა ონაშვილმა** შემოქმედებით ტურში გამარჯვებულს გადასცა პრიზი; საუკეთესო გრამატიკოსი დააჯილდოვა მომღერალმა, **ნუკრი კაპანაძემ**; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის დეპარტამენტის უფროსმა, **მაია მელიქიძემ** პრიზი გადასცა საუკეთესო მუსიკალური ნომრის შემსრულებელს; ხოლო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, **შევქეთ ერჯან თუნჩმა** – საუკეთესო დეკლამატორს.

კონკურსი

„მინერვა–2014“

დასრულდა ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნთან არსებული ლიტერატურული კლუბის „დალკი“ მიერ ორგანიზებული ლიტერატურული კონკურსი „მინერვა – 2014“, თემაზე – „ვერდამდგარი გაზაფხულები“. 11 აპრილს, კონკურსში მონაწილეების დაჯილდოება გაიმართა.

ლიტერატურული კლუბის „დალკი“ სიგელებით კონკურსის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა. გამოვლინდა სამი გამარჯვებული: *მკითხველის რჩეული* – ლიკა ალაფიშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი), *დალკის რჩეული* – ნიკა არაბული (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), *გაზეთ „ახალი განათლების“ რჩეული* – ანი ნოზაძე (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი). მათ გადაეცათ ჯილდოები დალკის ლოგოთი და ფასიანი საჩუქრები. გთავაზობთ გამარჯვებულ ნაწარმოებებს.

მკითხველის რჩეული

ლიკა ალაფიშვილი

ღამეა... ძილმა მიტოვებული შეყვარებულივით თავი ჩაქინდრა, გარეთ ქარი ქრის, მარტი ზუზუნებს და ბღავის. არ მიყვარს ეს თვე, ჩამოუყალიბებელ, გაორებულ ადამიანს მაგონებს... ბავშვობიდან ვიცოდი, რომ მარტი გაზაფხულის პირველი თვეა, თუმცა ცხრამეტი წელია ველი მარტში მოსულ ვერდამდგარ გაზაფხულებს...

დედის დღე, ქალთა დღე, ეს თვე ქალებს აჩუქეს, ყველა ქალი მარტივით გიჟიაო, საიდან მოიტანეს?! ყველა ქალი განსაკუთრებული ინდივიდია და საერთოდაც ყოველი დღე ქალების არის.

ბავშვობიდან ქალაქგარეთ ვცხოვრობდი, ყოველ სამ მარტს დილა უთენია ვდგებოდი და სანამ დედა გაიღვიძებდა, მიწიდან ჯერ არ ამოსულ ყვავილებს ვჩიჩქნიდი და მუჭაში ვაგროვებდი ან პატარა კალათში. აბა, ისეთი პატარა ყვავილებისგან თაიგულს მაინც ვერ გავაკეთებდი, შევდიოდი დედასთან და საწოლთან მიმქონდა მახარობელი ყვავილები, ჩემი პატარა მიწიანი ხელებით, გაზაფხულისა და მიწის სურნელით გაჟღენთილი, წვიმის წვეთებშეუშრობი და ჩემი სიყვარულით სავსე, მზის სხივებჩაქსოვილი იები და ენძელები...

მეხუთე წელია დედა წავიდა... ვინ იცის, იქნებ ის ყვავილები დღესაც მიცდიან და გაიზარდნენ კიდეც, მაგრამ მე აღარ მივსულვარ... საბედნიეროდ, ახლა ყვავილებს ვყიდულობ და ვჩუქნი ქალებს, ვისაც შვილი არ ჰყავთ... ომში დაეღუპა, შემთხვევით გამოეცალა ხელიდან, ზოგმა მზის სხივიც ვერ იხილა ან უბრალოდ განგებამ არ მისცა დედობის უფლება, სწორედ ამიტომ მივდივარ და ვჩუქნი სიყვარულსა და სითბოს, რათა სიცარიელე რამით მაინც შევუვსო. საყვარელი ადამიანების გარეშე ვერდამდგარი გაზაფხული, აბა, რა სითბოს მომტანია?!

დალკის რჩეული



ნიკა არაბული

წერილი პერსეფონეს

ერთი თვეღა დარჩა, შვილო, ერთი თვე...

კოკისპირულად წვიმდა, წუხელ, ოლიმპოზე. თითქოს, ჩვენს გარდა სხვა ღმერთებიც არსებობდნენ. სასაცილოა, ასეთი არათვითდაჯერებულობა ღმერთისთვის.

გაზაფხულის მოყვანას მთხოვენ, არაქნეს ქსელზე გაბმული დილის ნამივით ნაირფერადი გაზაფხულის, მაგრამ თავიდან ფეხებამდე დამივლის ხოლმე შიში, როცა ჩემს გულში, სხვა, ჩემზე ძლიერი, ღმერთის სუნთქვას ვგრძნობ.

არამცდა არამც ჩემი ღვთიური ბუნება არ არის მიზეზი ვარდთა აფეთქებისა და კვირტების დახეთქვისა – მე მიგაზაფხულდება შენთან გატარებული თითოეული წამით და ჩემი აღტაცება და სიხარულია მიზეზი სამყაროს გამოცოცხლებისა. აღტაცების გარეშე ყველაფერი ხუნდება.

მაგრამ როგორ გავაზაფხულო, შვილო?! – ადამიანებს სასწაულების აღარ სჯერათ – წვიმა აბრაზებთ და ქარს კარს უკეტავენ მძიმე რაზებით.

როგორ ავაყვავო, შვილო, ენძელები, იები, ყაყაჩოები, როცა მათი სურნელი და უსაზღვრო მშვენიერება მათ სხეულში არ ტოვებს გაზაფხულის გემოს და არომატს.

როგორ ამოვხეთქო მიწიდან ნაზამთრალი ნაკადულები, როცა ნაკადულს კი არა ერთმანეთს ექცევიან ისე, თითქოს აქერონტი იყოს მათ შორის.

მე უმალ გავჩნდები მათთან, როდესაც სიყვარულით და ბავშვური გულწრფელობით სავსე თვალებით შეხედავენ ერთმანეთს, თუნდაც ეს იანვრის სუსხიან დღეს მოხდეს – ის დღე მათთვის გაზაფხულად დაღამდება. ისინი, შუაღამისას, ბედნიერებით მთვრალნი, ღიას დატოვებენ ფანჯრებს, რომ უკეთ იგრძნონ ზამთრის გაყინული ღამის სიმშვენიერე და უკეთ დაინახონ საოცნებო თვალები. მე კი გავათბობ მათ ოთახში მშვიდად დაფენილ თოვლს, როცა ეროსი პაწია თითებს შეახებს ჰორიზონტს.

სულმოუთქმელად გელოდები პერსეფონე, გელოდებით შენ და ადამიანებს, რომელთათვისაც ჯერ არ დამდგარა ნამდვილი გაზაფხული.

ერთი თვეღა დარჩა, შვილო, ერთი თვე....

პალატა №145. N(დემეტრა)-ის ჩანაწერებიდან

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის რჩეული

ანი ნოზაძე

თებერვალია.

დღეს პირველად დამიძახეს „დე“.

ხელიდან ხელში გადადის, ყველა ეფერება, თავს ევლება, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ მე ვარ „დე“. თუმცა ჯერ ვერ მიფრთხილდება, მხოლოდ თავს მადებს გულზე და ინაბება...

მერამდენე გაზაფხულს ველოდები...

პატარამ ჯერ არ იცის, რა არის გაზაფხული, მაგრამ მზის სხივებს იტაცებს და თავს უშვერს, თითქოს ელოდება როდის გაათბობს, შემდეგ კი თვალებს ხუჭავს...

მისთვის ჯერ ამოუცნობია, რატომ მიდის ყოველ გაზაფხულს სასაფლაოზე დედა...

მან ჯერ არ იცის რა სტკივა დედას, სიკვდილის არსებობის შესახებაც კი არ იცის რაიმე, მაგრამ თითქოს გრძნობსო და გაზაფხულის წვიმები აშინებს, ხელს მხვევს და ტირის, მე კი ვამშვიდებ და ვეუბნები, რომ მასთან ვარ და არასოდეს მივატოვებ. თითქოს ესმისო ჩემი, ჩუმდება და თვალებში მიყურებს...

მე კი ვიცი, რომ ვატყუებ და ხელს ვადებ ქვაზე გამოყვანილ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მუდამ იარსებებს ჩემში. შემდეგ პატარას გულში ვიხუტებ და ღრმად მწამს დედა-შვილური მარადიული სიყვარულის. ღრმად მწამს, რომ მასზე უფრო ძვირფასი არაფერია. ახლა სიცოცხლის ბოლო დღეებია, საშინელი და მძიმე დაავადების ნიშნები მახსენებს თავს. ყოველ საღამოს, როცა მზე ჩადის, პატარას ხელში ვიტაცებ და ბევრს ვესაუბრები. ის ჯერ ვერაფერს ხვდება, მაგრამ მე მაინც ვესაუბრები, მინდა ჩემი ხმა მუდამ ჩაესმოდეს და ვახსოვდე, მინდა სწამდეს, რომ მიუხედავად იმისა, რა ტკივილსაც მიაყენებს ცხოვრება ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლით, ყოველთვის მასთან ვიქნები, მის სულს ყოველთვის მე დავარწევ და რამდენჯერაც არ უნდა ეტკინოს, ნუგეშად ყოველთვის მოვა ვერდამდგარი გაზაფხულები, როგორც ჩემთან, როცა დედის დაკარგვის შემდეგ უფალმა მოიყვანა ახალი გაზაფხული, სახელად „ლიზი“.

იურისტის კონსულტაცია

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდი?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^{1}4$ მუხლის შესაბამისად, მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით პირმა სკოლაში შეიძლება იმუშაოს არა უმეტეს 2 წლისა. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს ვაკანსია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ შეივსო, განსაზღვრული ვადით, შესაბამისი ვაკანსიის შევსებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების უფლება აქვს პირს, რომელსაც არ აქვს მოპოვებული მასწავლებლობის უფლება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, მასწავლებლობის მაძიებლისათვის სწავლების უფლების მინიჭების ვადას განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მასწავლებლობის მაძიებლისათვის შრომა ანაზღაურებადია?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^{1}4$ მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში, მასწავლებლობის მაძიებელს აუნაზღაუროს შრომა.

რომელი ორგანოებისგან შედგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით, შეიძლება სკოლის წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა.

ვისგან შედგება სკოლის დირექცია?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერიისგან.

ვინ შედის სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში და რამდენი ხნით ხდება მისი შემადგენლობის არჩევა?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული, არანაკლებ 6 და არა უმეტეს 12, წარმომადგენლისაგან, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი; სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევ პირთაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არჩეული 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით, გამონაკლისი დაიშვება მცირეკონტინგენტიან სკოლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. მშობლებისაგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა შეადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს.

რამდენჯერ შეიძლება პირი აირჩიონ სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრად?

სამეურვეო საბჭოს წევრი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ვინ არ შეიძლება იყოს სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სკოლის დირექციის წევრი. სამეურვეო საბჭოში, როგორც მოსწავლის მშობელი, არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ამავე სკოლასთან აქვს შრომითი ურთიერთობა.

როგორ ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღება?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებები მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო სკოლის დირექტორის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, სამეურვეო საბჭოს მიერ, ხდება სიითი შემადგენლობის ორი მესამედით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სასკოლო აქტივობა

სკოლა საუკეთესო საბიბლიოთეკო ტრადიციებით

რუსთავის 24-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **მარიამ ბარქაია**) ყოფილი ქართული გიმნაზიის ისტორიული გაგრძელება და დღევანდელი რეალობაა საუკეთესო წარსულით და ასევე საუკეთესო აწმყოთი. იგი ქალაქის სხვა საგანმანათლებლო ობიექტთა შორის გამორჩეულია არა მხოლოდ მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებით, არამედ მოსწავლე-პედაგოგთა მიღწევებით სწავლასა და სწავლებაში, სიახლეებით და იმ საინტერესო ღონისძიებებით, რომელიც აქ ყოველ სასწავლო წელს ტარდება.

მოსწავლეთა და პედაგოგთა ყველაზე საყვარელი ადგილი ბიბლიოთეკაა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შესანიშნავ გარემოში შესანიშნავად არის აღჭურვილი, არამედ იმიტომ, რომ წიგნადი ფონდით მდიდარ ბიბლიოთეკაში ყველა სახის გამოცემის მიღება ან წიგნთან მუშაობა შეუძლია ყველა ასაკის ბავშვს, ყველა კატეგორიის და საგნის მასწავლებელს.

დღეს ეს ფაქტი თავისთავად გასაკვირი არ უნდა იყოს. ბიბლიოთეკა ხომ ყველა სკოლის აუცილებელი დაწესებულებაა, მაგრამ ბიბლიოთეკაში შესულს ერთდროულად სიამაყისა და სიახლის განცდა უჩნდება იმის გამო, რომ აქ ყველაფერი აკადემიურ დონეზეა გაკეთებული, მაღალკვალიფიციური ბიბლიოგრაფების, **ნაირა ტოპრაკაშვილისა** და **ნინო ცაკაშვილის** მიერ. სწორედ მათი უშუალო მცდელობით დამუშავდა ახალი ელექტრონული ვერსია 10 000-მდე წიგნადი ფონდისა, თაროებზე დაიწყო, ანბანური რიგითა და თემატიკის მიხედვით განლაგდა სათითაო გამოცემა, რესტავრაცია ჩაუტარდა წიგნების საკმაოდ დიდ რაოდენობას, ბიბლიოთეკარების უშუალო ინიციატივით მოხდა ფონდის შევსება თანამედროვე ქართული გამოცემებით და მეთოდური ლიტერატურით... და რაც მთავარია, ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც მუდმივად ტარდება საინტერესო ღონისძიებები ახალი წიგნების განსახილველად, ტარდება შეხვედრები მწერლებთან, ეწყობა პოეზიის საღამოები, მოსწავლეთა შემოქმედების გაცნობა.

– *ასე უზომოდ ბიბლიოთეკა ჩემმა საყვარელმა ბიბლიოთეკარმა ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, ქალბატონმა* ***დარეჯან კაპანაძემ*** *შემაყვარა. ყველაფერს მხოლოდ სიყვარულით ვაკეთებ. წიგნების რესტავრაციისას ჩემი საკუთარი და,* ***ნუნუ ქვათაძე*** *ამოვიყენე გვერდით, რომ ყველაფერი გულიანად გაგვეკეთებინა. ყველა წიგნის ყველანაირი მონაცემი სპეციალურ ჟურნალებში მაქვს გადატანილი, დღე და ღამე წიგნებს ვკითხულობ, ბიბლიოთეკარი კითხვის გარეშე ვერ წარმომიდგენია. მოსწავლეებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას პენსიონერ და სკოლაში მყოფ ასაკმოძალებულ პედაგოგებს ვუთმობთ, გაცილება მოვუწყეთ ქალბატონ* ***ლალი არობელიძეს***, ***ლუარა ივანიაძეს***. *ღონისძიებებს ზოგჯერ ყოველ კვირას ვატარებთ...*

ნაირა ტოპრაკაშვილს და ნინო ცაკაშვილს ყოველდღიური საბიბლიოთეკო საქმიანობისას სახელმძღვანელოების მონიტორინგი აქტიურ პროცესად მიაჩნიათ და მოსწავლეებთან ერთად ზრუნავენ თითოეული წიგნის გადასარჩენად.

„სასწაული, რომლის სახელი წიგნია“ – ასე ერქვა გასვლით ღონისძიებას, რომელიც 24-ე სკოლის ბიბლიოთეკამ ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, მოსწავლეთა მუსიკალურ-შემოქმედებითი ძალებით ჩაატარა.

– *ჩემი შვილები ამერიკაში ცხოვრობენ, შვილიშვილებისათვის აქ ვყიდულობ ქართულ საბავშვო წიგნებს და ვუგზავნი, ხოლო ორ მეშვიდეკლასელ ტყუპ შვილიშვილს, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობენ, ჩემზე არანაკლებ უყვართ ეს ბიბლიოთეკა და წიგნი, მათ უკვე იციან მისი ფასი. დღეს ისე არაფერი სჭირდება მოზარდს, როგორც წიგნთან დაახლოება და ზოგადად, წიგნიერება, ბიბლიოთეკა ხომ ამ მიმართებით ყველაზე აქტიური დაწესებულებაა.* – ნაირა ტოპრაკაშვილის ეს მოსაზრება სრულიად ლოგიკურია ჩვენს დროში, როდესაც მართლაც პრობლემად იქცა კომპიუტერთან მიჯაჭვული და წიგნთან დაშორებული მოზარდი.

რუსთავის 24-ე საჯარო ბიბლიოთეკა სანიმუშო იერსახითა და შინაარსით ისეთია, რომ თვით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც კი გააოცებს. ამ მიღწევაში, რაღა თქმა უნდა, უდიდესი დამსახურება სკოლის დირექციას მიუძღვის, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ბევრი სიკეთით გამორჩეულ სკოლას ბიბლიოთეკითაც ჰქონოდა სიამაყის მიზეზი.

ლია მარტაშვილი

ანიმაციების გამოყენება ბიოლოგიის სწავლების პროცესში

2001 წლიდან დამკვიდრებულ ტერმინში – „ციფრული აბორიგენი“ – იმ ადამიანებს მოიაზრებენ, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მას შემდეგ, რაც ციფრული ტექნოლოგიები მყარად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. შესაბამისად, თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებაც წარმოუდგენელია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე. თითეული ჩვენგანი ვსარგებლობთ მობილური ტელეფონით, ვუკავშირდებით ერთმანეთს როგორც სოციალური ქსელის, ისე ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ვეძებთ სასურველ ინფორმაციას ინტერნეტში, ჩვენი ყოველდღიური თუ პროფესიული საქმიანობა სულ უფრო მეტად ითხოვს ისტ-ის ცოდნასა და სისტემატურ გამოყენებას, ციფრულ-ტექნოლოგიურ განათლებას.

დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ 21-ე საუკუნის სკოლა, ესაა სკოლა უამრავი ახალი იდეით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. სწავლა-სწავლება კი ის პროცესია, რომლის დროსაც არ ხდება ცოდნის უბრალოდ გადაცემა, არამედ იგი იქმნება თავად მოსწავლის მიერ. აქ კი ერთ-ერთი ხელშემწყობი ისტ-ია. სწორად შერჩეული ინტერნეტ-რესურსებით (თავისი მრავალფეროვანი ვიზუალური მასალით) შესაძლებელია ეფექტური და საინტერესო გაკვეთილის ჩატარება. იგი მოსწავლეებში აღძრავს ცნობისმოყვარეობას და უღვივებს ინტერესს შესასწავლი საკითხის მიმართ, უფრო ნათელს და მკაფიოს ხდის საგაკვეთილო მასალას, ხელს უწყობს ცოდნის სისტემაში მოყვანას და უზრუნველყოფს ათვისების მაღალ დონეს – პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო. ეს კი ეხმარება მასალის დამახსოვრებასა და ცოდნად გარდაქმნაში. ასეთი მიდგომა მოსწავლეთა განვითარების ყველა ასაკშია მისაღები და აუცილებელი.

როგორც ყველა საგნის, ისე საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია) სწავლების პროცესშიც მასწავლებლის წინაშე ყოველთვის დგას პრობლემა – როგორ ვასწავლო ესა თუ ის საკითხი ისე, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ მიღებული ინფორმაციის ათვისება და მასალა საინტერესო გახდეს მათთვის. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) საშუალებას იძლევა საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახით: პრეზენტაციები, ცნების რუკები, გრაფიკული, აუდიო თუ ვიდეოფაილები და ა.შ.

ფართოდ გავრცელებულ და საინტერესო პროგრამებს შორის ერთ-ერთია ვიდეო ფაილების ელექტრონული საცავი Youtube, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ადვილად გამოყენებადია საგაკვეთილო პროცესში. აქ ძალიან მარტივადაა შესაძლებელი როგორც აუდიო, ისე ვიდეოფაილების მოძიება და განთავსება. საკმაოდ მარტივია სასურველი ფაილის გადმოწერის პროცესიც, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს (ინტერნეტზე დამოუკიდებლად) გამოვიყენოთ სასურველი ანიმაცია საგაკვეთილო პროცესში საკუთარი (მოსწავლის თუ სკოლის) ნოუთბუქის და პროექტორის საშუალებით (მაშინ, როდესაც რაიონის სკოლებში, კაბინეტებში ჯერ კიდევ არ არის ინდივიდუალური კომპიუტერები და უსადენო ინტერნეტი).

რატომ Youtube? იმიტომ რომ აქ განთავსებული ანიმაციები და იმიტაციების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება ყოველთვის მეხმარება და საშუალებას მაძლევს, ბავშვებმა თვალნათლივ და ცხადად დაინახონ და წარმოიდგინონ ისეთი პროცესები, როგორიცაა მიტოზი, მეიოზი, სისხლის მიმოქცევა, საჭმლის მონელება და სხვა უამრავი სასიცოცხლო პროცესი. შესაბამისად, უფრო გაზრდილია მოსწავლეთა მოტივაცია, ექმნებათ ხალისიანი განწყობა, უვითარდებათ ინტერესი (როგორც საკითხის, ისე მეცნიერული სიახლეების მიმართ), ასევე დაკვირვების, აღწერის, ვარაუდის გამოთქმის, დისკუსიის, მონაცემებისა და ფაქტების ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევა. ჩვენი მასწავლებლების მთავარი დანიშნულებაც ხომ ისაა, რომ მოსწავლეს გადავცეთ არა მარტო განსაზღვრული ცოდნა, არამედ განვუვითაროთ სურვილი თვითონვე მოიძიონ და გამოიყენონ აუცილებელი ინფორმაცია. როცა ანიმაციები პირველად გამოვიყენე გაკვეთილის ახსნის პროცესში, ბავშვებს გაუჩნდათ სურვილი თავადვე მოეძიათ მსგავსი ანიმაციები. ანიმაციებით სწავლება განსაკუთრებით დადებით შედეგს იძლევა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის გასაზრდელად. ისინი ადვილად უმკლავდებიან საკუთრი აზრის გამოთქმის შიშს და ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში. უმეტესად სწორედ მათ იაქტიურეს და მოიძიეს საჭირო მასალა.

თუ გვინდა, რომ უფრო მეტი მოსწავლე ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, სწავლების პროცესი გასცდეს საკლასო ოთახს და გახდეს უფრო მართვადი და საინტერესო, მოსწავლეებმა აიმაღლონ ტექნიკური ცოდნა და გაუჩნდეთ ინტერესი შესასწავლი საგნის მიმართ, გაკვეთილი არ იყოს მოსაწყენი, ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი, შესაბამისად, გაიზარდოს სწავლა-სწავლების ხარისხი, მაშინ ისღა დაგვრჩენია არ შეგვეშინდეს სიახლეების, დღესვე, თუნდაც ბავშვების დახმარებით (რომელთაც უფრო მეტი კავშირი აქვთ ციფრულ ტექნოლოგიებთან და ადვილად შეუძლიათ სხვადასხვა სახის ინფორმაციების როგორც მოძიება, ისე დამზადება და ატვირთვა), თამამად დავიწყოთ ისტ-ის, კერძოდ, ანიმაციების გამოყენება სასწავლო პროცესში.

თინათინ კაკაბაძე
სსიპ ხონის №2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრი

ქართული როგორც მეორე ენა

ჩემი სამცხე-ჯავახეთი, ანუ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“

II სერია

– კონცერტია! დღეს კლუბში კონცერტია! – დააფრიალებს ბილეთებს სოფლის ორღობეებში კიკინებიანი თერმინე.

– რა კონცერტია? – ვეკითხები და ბილეთებს ვათვალიერებ.

– მასწავლებელი ნინო, მასწავლებელი ნინო, ამ კონცერტზე პრიზები იქნება!

– ეგ როგორ?

– ვისი ბილეთიც სცენაზე ამოიღონ, იმისი სახელი თქვან და მერე აჩუქონ პრიზიიიი! – სულს ვერ ითქვამს გახარებული თერმინე.

– აჰა, გასაგებია.

– წამოხვალთ?

– აბა რას ვიზამ!

– კონცერტია, დღეს კონცერტია! – ისევ ისმის ორღობეებში ბავშვების ჟრიამული.

თერთმეტი წლის არარატი მსხვილფეხა საქონელს მოერეკება წყაროდან, მეხუთეკლასელი ქერათმიანი ბიჭუნა ვაჩაგანი კი ცხენს ისე მიაქროლებს, იფიქრებ, ეს-ესაა გაფრინდებაო. სხვათა შორის, გუშინწინ, გაკვეთილზე ხმამაღლა გამოაცხადა, ნინო მასწავლებელს ცხენზე ჯირითი უნდა ვასწავლოო. ამის გაგონებაზე, არტაშემ ველოსიპედის მართვის სწავლება შემომთავაზა, კორიუნმა – ფეხბურთისა, გოგონებმა – ქსოვა-კერვისა და ასე შემდეგ... ვიგრძენი, როლები ნელ-ნელა როგორ შეიცვალა და მგონი, მართლაც, მე მათგან მეტი მაქვს სასწავლი, ვიდრე ამ პატარა დიდებს ჩემგან (დავასკვენი ჩემთვის).

საღამოს კლუბში წავედი. გადაჭედილი დარბაზი დამხვდა. სხვათა შორის, იმ დღეს თერმინეს ბილეთმა მართლაც მოიგო პრიზი. რა? მაგას კი ნუღარ მკითხავთ! თუმცა, რა დასამალია და ეს „დიდი გოგოების“ პარფიუმერია გახლდათ! დიახ, დიახ, ბატონო, ახლა თერმინეს საკუთარი თვალის საცხი აქვს და როცა საჭიროა, გვარიანადაც იპრანჭება ხოლმე.

კონცერტზე ჩემი ყურადღება ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა მიიპყრო, მანამდე არ გავიდა სცენიდან, ვიდრე მთელი დარბაზი ერთიანად არ აამღერა. გულში ვიფიქრე, ამას ქართული სიმღერის ტექსტი რომ მისცე და ასე ამღერო, მთელ სოფელს ქართულ ენას ჩემზე უკეთ ასწავლის-მეთქი. ჰოდა, აბა, იმ ღამით რაღა დამაძინებდა, დამეწყო მუზების შემოტევა და დილის ექვს საათზე გაოცებულმა მასპინძელმა ჩემს ოთახში თავი რომ შემოყო, აი, რა სანახაობა დახვდა: წევს მისი სტუმარი საწოლში, ხელში ჩამწერი უჭირავს და რაღაც გაუგებარ სიმღერას მღერის, მისთვის გაუგებარ ენაზე. მოკლედ, იმ ღამით დაიწერა სიმღერა ქალაქ ნინოწმინდაზე.

იმ დღიდან ზუსტად ერთი თვის თავზე კი, ვარაზდატ ნუნიანი ჩემს სიმღერას ხუთასკაციან დარბაზში ასრულებდა ქ. ნინოწმინდის ახალგაზრდულ ცენტრში, უზარმაზარ სცენაზე და მართლაც იქამდე არ გასულა სცენიდან, ვიდრე ხუთასივე მაყურებელი ქართულად არ აამღერა. ეს ამბავი როგორ გაგრძელდა, აი, ამას კი უკვე მესამე სერიაში გიამბობთ, მანამდე კი, გულში ისევ ჩაგჩურჩულებთ: „დედამიწას სიყვარული ატრალებს“ და ჩემი სიმღერის ტექსტსაც აქვე ჩამოგირაკრაკებთ:

ნინოწმინდის ქუჩები
როგორ მომნატრებია,
აქ ჩემი ჯავახეთის
თოვლიანი მთებია...
ცა – გაშლილი ხელები
და ღრუბლების ფრთებია,
ფარავნიდან მოსული
ქარი მომნატრებია...
სიმღერავ ჩემო,
სამშობლოვ ჩემო,
სიცოცხლევ ჩემო,
ნინოწმინდა!..
გიმღერო რამე,
გიამბო რამე
და გულში მაგრად
ჩაგიკრა მინდა...

ნინო ლარცულიანი
ნინოწმინდის რაიონის სოფელ დიდი არაგიალის მოხალისე მასწავლებელი

სხვაგვარი გულისცემა

კურსელი მწერდა ამისწინ, როგორ შეეგუეო ჯავახეთს? როგორ? როგორ და უჩვეულოდ. სხვაგვარად არც კი შეიძლება, აქ ხომ ყველაფერი უჩვეულოა...

ჰაერი არ გყოფნის რომ ისუნთქო, მზე ისე ახლოსაა, კი არ გათბობს, გწვავს, სიცივე ისეთია, თვალის გუგებამდე აღწევს. ცოტა ჭირს ამასთან შეგუება, მაგრამ თუ შეეგუე, ჩათვალე, რომ ძალიან ძლიერი ხარ. მე გამიმართლა...

უყურებ აბულის მთას და გაოცებს მისი სიამაყე; უყურებ ღამით, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და გატყვევებს მისი სიახლოვე; უყურებ ფიჭვის პატარა სიცოცხლისუნარიან პირმშოს და გეამაყება, რომ შენც მასთან ერთად იზრდები, ვითარდები, ეგუები ჯავახეთს.

პრობლემები არ გაქვს??? პრობლემები... პრობლემები... პრობლემები...

ჩვენ ხომ მოაზროვნეები ვართ და ყოველ გააზრებულ ფიქრს თან სდევს პრობლემები, ამიტომ მან არ უნდა შეგვაშინოს... ადვილია დღეს ამის თქმა, მაგრამ როდესაც უშუალოდ აღმოჩნდები მის წინ მარტოდმარტო – ძნელია...

აქ ხარ მარტო... გაქვს უამრავი დრო ფიქრისთვის, იდეების ბუმისთვის, კითხვისთვის, კეთებისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ ძილისთვისაც კი... სუნთქავ უაღრესად სუფთა ჰაერს, მიირთმევ ბუნებრივ, ჯანსაღ პროდუქტს...

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... აუცილებელია მარტო გაუმკლავდე თითოეული ეკლის შესობას, საკუთარი თავის გარდა ზურგს ვერავინ გაგიმაგრებს, მთავარია გწამდეს, გჯეროდეს...

პირველი პრობლემა... პირველი შიში და პირველი სიძლიერე, რადგან თუ არ დაეცი, ისე ფეხზე დგომას ვერ ისწავლი, თუ არ შეგხვდა, ვერ გაიცნობ და თუ არ გინდა, ვერ გააკეთებ.

მე და ათეულობით ჩემისთანა აქ არ წამოვსულვართ „ფულის ასაღებად“, წამოვედით საკუთარი თავის გამოსაცდელად, საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და საკუთარი მიწის შესაცნობად... სწორედ საკუთარ მიწაზე ფიქრია, აქ რომ გვაძლებინებს!

ყოველ დილით, საბნის ქვეშ დილის სუსხი შემომიწვება და მიღიტინებს მანამ, სანამ ფეხზე არ წამომაგდებს, რა ქნას, მასაც ეზარება მარტო ადგომა, თან იმას მთხოვს, რომ მზის ამოსვლას ერთად შევეგებოთ; სკოლაში ერთად წავიდეთ და ქარის დროს ძალიან ჩამეხუტოს, რადგან ეშინია ქარმა არ გაიტაცოს. მე მისი საყრდენი ვარ, მაგრამ იმას ვერ

ხვდება, რომ ხანდახან ისე მაგრად მეხუტება გასაქანს არ მაძლევს და თვალის გუგებსაც კი მიწვავს სიცივისგან...

აქ, შენ ყველას უნდა გაუგო, რადგან ყველა შენ ვერ გაგიგებს...

ყოველი ახალი დღე, ახალი დილა, ახალი, მაგრამ ნაცნობი სუსხი, კიდევ ერთი ახალი თბილი თვალების მზერის მომასწავებელია. თბილი ღუმელით და ათობით მომღიმარი თბილი თვალით გამოჭედილი საკლასო ოთახები, დღეში მინიმუმ 5-ჯერ ნათქვამი გამარჯობა-ნახვამდის, მთელი სითბოჩაქსოვილი მისალოცი ბარათები და უთბილესი ხმით გზად მოწეული „მაკ მასწავლებელო“ ახალი ძალის, ახალი შესაძლებლობის, ახალი იდეის უძლიერესი გზამკვლევია.

მაკა ფარქოსაძე
ნინოწმინდის რაიონის სოფელ კათნატუს მოხალისე მასწავლებელი

ბიოლოგია

დაწყებითი საფეხურისა და V–XII კლასების პედაგოგებისათვის

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ადაპტური რადიაცია. ადაპტურ რადიაციას უწოდებენ რომელიმე ჰომოლოგიური სტრუქტურების განვითარებას, მოცემული ჯგუფის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის, სხვადასხვა მიმართულებით შესასრულებელი ფუნქციის მიხედვით. ადაპტური რადიაციის მაგალითები უამრავია. ყველა კლასში გაერთიანებულ ორგანიზმებს აქვს სადიაგნოსტიკო ნიშნები, ამავე დროს, ამ კლასის სხვადასხვა სახეობებს შორის განსხვავება მათ საშუალებას აძლევს, იარსებონ იმ გარემოში, რომელსაც შეგუებულნი არიან. ასე მაგალითად, მწერების პირის აპარატი ძირითადად ერთნაირია, შედგება წყვილი ზედა ყბისაგან, თავისი კბილაკებითა და საღეჭი ლაპოტებით, ზედა და ქვედა ტუჩებისაგან, ჰიპოფარინქსისაგან. მწერები იკვებებიან მრავალფეროვანი საკვებით, რადგანაც სხვადასხვა სახეობებს პირის აპარატი სახეცვლილი აქვს, ზოგი სტრუქტურა რედუცირებულია, შეცვლილია ანდა სულაც გადიდებულია. ამის გამო მწერების პირის აპარატიც მრავალგვარია.

ადაპტური რადიაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენებს **დივერგენციულ ევოლუციას**, რომელიც ჰომოლოგიური სტრუქტურების მოდიფიკაციაზეა დაფუძნებული.

მსგავსი სტრუქტურები, ფიზიოლოგიური პროცესები ან ცხოვრების ნირი, რომელებიც დამახასიათებელია ფილოგენეტიკურად არანათესაური ორგანიზმებისათვის, მაგრამ ასრულებს ერთი და იმავე ფუნქციას, იწოდება **ანალოგიებად**. მაგალითად, ხერხემლიანთა და თავფეხიანი მოლუსკების თვალი, მწერებისა და მფრინავი თაგვების ფრთები, დასახსრული ფეხები უმაღლეს ხერხემლიანებსა და მწერებში, მცენარეების ეკლები და ცხოველების ნემსები. აღმოჩენილია ხერხემლიანთა ნეიროჰორმონები (აცეტილქოლინი, ჰისტამინი, 5-ჰიდროქსიტრიპტამინი) ჭინჭრის მსუსხავ ძაფებში. ანალოგიურ ორგანოებს შორის მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა, მაგალითად, თავფეხიანი მოლუსკებისა და ხერხემლიანების თვალი ვითარდება სხვადასხვანაირად. თავფეხიანების ბადურა არაა ინვერტირებული და ფოტორეცეპტორები მიმართულია დაცემული სინათლისაკენ, მაშინ როცა ხერხემლიანებში ბადურა ინვერტირებულია და ფოტორეცეპტორები სინათლისაგან განცალკევებულია ნეირონებით, ამიტომ ხერხემლიანების თვალს აქვს ბრმა ხალი, ხოლო თავფეხიანებისას – არა.





თავფეხიანი მოლუსკის კალმარს Loligo რთული თვალი აქვს, რომლის ნაწილები ხერხემლიანთა თვალის შესაბამისი ნაწილების მსგავსია, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად განვითარდა.

ხერხემლიანის თვალი

ანალოგიური სტრუქტურების არსებობა მოწმობს **კონვერგენტულ ევოლუციაზე**. კონვერგენცია (ნიშან-თვისებათა დამთხვევა) – რამდენიმე არამონათესავე ჯგუფებში ფენოტიპური მსგავსების ჩამოყალიბების პროცესი. მაგალითად, სხეულის ფორმა წყალში მცხოვრებ ხერხემლიანებში – თევზებსა და ძუძუმწოვრებში (ვეშაპი, დელფინი).

კონვერგენცია



თხუნელას ანალოგიური თვისებების კონვერგენტული ევოლუცია. წაგრძელებული სხეული, გაფართოებული წინა კიდურები, მცირე ზომის თვალები და კონუსისმაგვარი ცხვირის დამცველი რბილი, სქელი კანი, დამოუკიდებლად განვითარდა ჩანთოსნებში – ავსტრალიურ თხუნელაში (ზემოთ) და პლაცენტარულში – ჩრდილოამერიკულ თხუნელაში (ქვემოთ).

დივერგენცია და კონვერგენცია განსაკუთრებით კარგად ჩანს პლაცენტარული და ჩანთოსანი ძუძუმწოვრების **პარალელურ ევოლუციაზე**. **პარალელიზმი** საერთო წინაპრიდან წარმოშობილ ტაქსონომიურ ჯგუფთა განვითარებაა ერთი მიმართულებით. დივერგენციის შედეგად განვითარებული განსხვავებული ჯგუფები, რომელთაც ერთნაირ საარსებო გარემოში მოუხდათ არსებობა, ევოლუციის შედეგად ჩამოუყალიბდათ მსგავსი ადაპტაცია.

პარალელური ევოლუცია აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში გავრცელებულ ძუძუმწოვრებში

შედარებითი ემბრიოლოგია. ორგანიზმებს შორის ნათესაობის მეტ-ნაკლებობის შესახებ სარწმუნო დამამტკიცებელ მასალას იძლევა ემბრიოლოგია, რომელიც შეისწავლის ორგანიზმების ჩანასახოვან განვითარებას.

ნებისმიერი ხერხემლიანის ჩანასახების ადრეულ სტადიებზე შესწავლა გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება იგი. ეს შესაძლებელია მხოლოდ ემბრიონის განვითარების გვიან სტადიებზე.



თევზი ხვლიკი ბოცვერი ადამიანი
ხერხემლიანთა ჩანასახების შედარება განვითარების სხვადასხვა სტადიაში



ქათმის ემბრიონი ადამიანის ემბრიონი
ხერხემლიანების ჩანასახების ანატომიური მსგავსება

ყველა ხერხემლიანის ემბრიონს, გარკვეულ სტადიებზე, აქვს შემდეგი სტრუქტურები:

1. ექტოდერმის ჯიბისებრი ჩანაზარდები და მათკენ მზარდი საყლაპავის კედლის გამონაზარდები. თევზებში ისინი გაერთიანდება და შეეზრდება ერთმანეთს, ხოლო შემდეგ სკდება და შედეგად მიიღება ლაყუჩის ნაპრალები. ხერხემლიანთა სხვა ჯგუფებში შენარჩუნდება მხოლოდ ერთი ნაპრალი, რომლიდანაც ვითარდება ევსტაქის ლულა და სასმენი მილი.

2. სეგმენტირებული მიოტომები კუდისმაგვარ სტრუქტურაში, რომელიც ყველა სახეობაში არ ნარჩუნდება.

3. ორსაკნიანი გული და სისხლის მიმოქცევის ერთი წრე, რომელიც შემდეგში მხოლოდ თევზებში შენარჩუნდება.

ხერხემლიანთა ჩანასახების განვითარებასთან ერთად მსგავსება იკლებს და თანდათან მკაფიოდ იწყება იმ კლასის ნიშნების გამოვლენა, რომლებსაც ისინი ეკუთვნის.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, რაც უფრო ახლოს დგას ჯგუფები, რომელთაც მიეკუთვნება ორი მოცემული ორგანიზმი, ემბრიონულ სტადიაზე მით უფრო დიდხანს შენარჩუნდება მათი მსგავსება.

ბიოგენეტიკური კანონი. ამ კანონის ავტორებია გერმანელი მეცნიერები ფ. მიულერი და ე, ჰეკელი. მათ დაადგინეს ონტოგენეზსა და ფილოგენეზს შორის თანაფარდობის კანონი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ყოველი არსება ინდივიდუალურ განვითარებაში (ონტოგენეზი) იმეორებს თავისი სახეობის განვითარების ისტორიას (ფილოგენეზი), ე.ი. ონტოგენეზი ფილოგენეზის მოკლე განვითარებაა. მაგალითად, ხავსებსა და გვიმრანაირებში გამეტოფიტი (განვითარების ადრეულ სტადიებზე პროტონემის წარმოქმნა, რომელიც სპორიდან ვითარდება), თავისი სტრუქტურით, ფიზიოლოგიითა და ზრდის ტიპით მსგავსია ძაფნაირი წყალმცენარეების. ამიტომაც თვლიან, რომ ისინი წყალმცენარეებიდან წარმოიქმნა.

შედარებითი ბიოქიმია. ერთნაირი ნივთიერებების არსებობა ყველა ორგანიზმში მიუთითებს ბიოქიმიურ ჰომოლოგიაზე ორგანოებისა და ქსოვილების დონეზე, მორფოლოგიური ჰომოლოგიის მსგავსად. ეს მონაცემები ამყარებს სხვა დასკვნებს ევოლუციის შესახებ. შედარებითი ბიოქიმიის კვლევების უმრავლესობა ეხებოდა ფართოდ გავრცელებული ცილების, კერძოდ ციტოქრომ c და ჰემოგლობინის პირველადი სტრუქტურების შესწავლას. მოგვიანებით კი, ნუკლეინის მჟავების შესწავლას, კერძოდ რიბოსომული რნმ-ს. გენური მუტაციები იწვევს შესაბამისი ცილებისა და რნმ-ის ცვლილებას, რაც საშუალებას იძლევა ფილოგენეტიკური კავშირების დასადგენად. თუ დავუშვებთ, რომ რაც უფრო მცირეა სხვაობა ამა თუ იმ ნივთიერებების სტრუქტურებში, მუტაციების რიცხვი მით უფრო მცირეა და მით უფრო ახლო ნათესავებია ეს ორგანიზმები, რომლებიც ამ ნივთიერებებს შეიცავს.

ციტოქრომები (სუნთქვის პიგმენტები) ცილებია, რომელთაც შეიცავს მიტოქონდრიები და მონაწილეობს ელექტრონების გადატანაში სუნთქვით ჯაჭვში ატფ-ის სინთეზის დროს. ციტოქრომ c ერთ-ერთი ცილაა ამათგან. ის რთული ცილაა, რომელიც შედგება რკინის შემცველი პროსტეტიკური ჯგუფისაგან და რომელზეც შემოხვეულია 104-112 ამონომჟავისაგან შექმნილი ჯაჭვი (იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახეობაა). გამოკვლეულ იქნა ციტოქრომ c პოლიპეპტიდური ჯაჭვის თანმიმდევრობა ბევრ ორგანიზმში, მათ შორის ზოგიერთ ბაქტერიაში, სოკოებში, ხორბალში, ბუზ Chrysomyia, თუთის აბრეშუმხვევიაში, თევზში დორადი, პინგვინში, კენგურუსა და პრიმატებში. გამოკვლეულ 21 ორგანიზმში ამინომჟავების თანმიმდევრობა მსგავსი აღმოჩნდა, ხოლო ამათგან 20-ში, სოკოდან Candida ადამიანის ჩათვლით, 78-88 მდგომარეობაში ამინომჟავები იდენტური იყო. ციტოქრომ c ამინომჟავათა თანმიმდევრობა ადამიანსა და შიმპანზეს ერთნაირი აქვს, ხოლო მაკაკა რეზუსის თანმიმდევრობისაგან მხოლოდ ერთი ამინომჟავით განსხვავდება. ფილოგენეტიკური ხე, რომელიც აგებულია ამინომჟავურ თანმიმდევრობაზე დაყრდნობით, იდენტურია მორფოლოგიურ ჰომოლოგიებზე დაყრდნობით აგებული ფილოგენეტიკური ხის. ასეთივე შედეგი იქნა მიღებული გლობულინების – ჰემოგლობინისა და მიოგლობინის შესწავლისას.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

პროფესიული სწავლება

ფესტივალი – „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“

ლალი ჯელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით, უკვე მეორედ გაიმართა ფესტივალი – „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“. ღონისძიების ფარგლებში, ერთ სივრცეში განთავსდა საქართველოს მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტების ნამუშევრებით გაფორმებული სტენდები, აქვე იყო წარმოდგენილი პრაქტიკის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულებები.

ღონისძიების მსვლელობისას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მოესმინა პრეზენტაციები პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შესახებ, დაესვა კონკრეტული შეკითხვები, გასცნობოდა პროგრამის ხანგრძლივობას, სწავლების მეთოდოლოგიას, პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ დაწესებულებებს, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს და ა.შ.; შეეძლო, ასევე, მოესინჯა ტესტირების ნიმუშები და დეტალური ინფორმაცია მიეღო მის მიერ შერჩეული პროფესიული პროგრამის შესაბამისი ტესტირების ტიპების შესახებ. იქვე შესაძლებელი იყო სასურველ პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირება, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

წარმოდგენილი იყო დასაქმების ხელშემწყობი კომპანიები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრებს შრომის ბაზრის ტენდენციებს აცნობდნენ და უტარებდნენ მასტერკლასს CV-ის მომზადების შესახებ.

ფესტივალის მიმდინარეობისას გაიმართა წამახალისებელი თემატური შეჯიბრებები, გათამაშებები და სხვა სიურპრიზები, რომელიც ფესტივალის სპონსორმა სს „ლიბერთი ბანკმა“ და სხვა ბიზნეს ორგანიზაციებმა მოაწყვეს.

ფესტივალის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** და „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **დავით ვერულაშვილი** გაეცნენ.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„ფესტივალზე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაა წარმოდგენილი, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს მომხმარებელს და გამოცხადებული აქვს საგაზაფხულო მიღება. აქვე, ამ სივრცეში, მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ. დამსაქმებლებს ძალიან საინტერესოდ აქვთ წარმოდგენილი საგამოფენო სივრცე“.*



ბანკის წარმომადგენელთა განმარტებით, „ლიბერთი ბანკი“, როგორც ყველაზე ვრცელი ფილიალებისა და მომსახურების ცენტრების მფლობელი ბანკი საქართველოში, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენითა და პროფესიონალი კადრების აღზრდითაა დაინტერესებული და მომავალშიც მხარს დაუჭერს მსგავს ღონისძიებებს.

დავით ვერულაშვილი, „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე: *„მეორე წელია, რაც „ლიბერთი ბანკი“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, პროფესიული განათლების ფესტივალს მასპინძლობს. ამ პროექტის ფარგლებში, შარშან, 8 სასწავლო დაწესებულებასთან გავაფორმეთ მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, 50-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება ჩვენს ბანკში. „ლიბერთი ბანკი“ ამ სტუდენტებს განიხილავს, როგორც მომავალ თანამშრომლებს“.*

თამარ ქიტიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: *„ვფიქრობ, ძალიან საინტერესო დღე შევთავაზეთ აქ მოსულ სტუმრებს – ფესტივალი მხიარულ, მუსიკალურ, ასე ვთქვათ, ახალგაზრდულ ნოტაზე წარიმართა. სტუმრებს ბევრი სიურპრიზიც დახვდათ. ფესტივალის მიზანია, ზოგადად, პროფესიული განათლების პოპულარიზება, რადგან საზოგადოებისთვის, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებადაა ცნობილი, თუ რომელი დაწესებულებები მუშაობენ ამ მიმართულებით, რა პროგრამებია შეთავაზებული საგანმანათლებლო ბაზარზე. ეს დღე თანაბრად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ახალგაზრდებისთვის, სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის, ისე ზრდასრული ადამიანებისთვის, რადგან პროფესიულ განათლებას ასაკობრივი შეზღუდვები არ აქვს. ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია მიიღოს პროფესიული განათლება, სახელმწიფო დაფინანსებით, საჯარო დაწესებულებაში.*

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგაზაფხულო მიღების რეგისტრაციის პროცესი 11 აპრილამდე მიმდინარეობდა. მსურველებს, საქართველოს მასშტაბით, შეეძლოთ დარეგისტრირება ნებისმიერ რესურსცენტრში ან საინფორმაციო ცენტრში, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, სულ სამია: ქობულეთში, ქუთაისსა და თბილისში; დარეგისტრირება, ასევე, შესაძლებელი იყო თვითონ კოლეჯებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 4 მაისს ჩატარდება ტესტირება, სადაც გაირკვევა დარეგისტრირებულ მსურველთა ქულები და დაფინანსება. დარეგისტრირება ფესტივალზეც შესაძლებელი იყო, აქვე შიძლებოდა საცდელი ტესტების და საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა. რაც შეეხება დაფინანსებას, მხოლოდ სრული – 100-პროცენტიანი დაფინანსებაა. საშემოდგომო მიღების სტატისტიკით, ტესტირება 9 ათასმა მსურველმა გაიარა, მათგან მხოლოდ 56-მა ვერ შეძლო დაფინანსების მოპოვება. როგორც ხედავთ, შესაძლებლობები საკმაოდ დიდია, რადგან ტესტი რთულად დასაძლევი არ არის.

ფესტივალზე დაინტერესებულ პირებს არა მხოლოდ სასურველი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ, არამედ – გარკვეული კონსულტაციებისაც ზოგადად პროფესიების შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, რომლებიც პროფესიის არჩევანის წინაშე დგანან – გარკვეული პროფორიენტაციული სამუშაოები და კონსულტაციები როგორც პროფესიებთან, ასევე ცალკეულ პროგრამებთან დაკავშირებით მათ ძალიან დაეხმარებათ.

ფესტივალზე ცალკე კუთხე ეთმობოდა დასაქმების შუამავლებს – ეიჩარ კომპანიების წარმომადგენლებს. აქვე იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ახლად შექმნილი ვორქნეტის კუთხე. ვორქნეტის წარმომადგენლები სამუშაოს მაძიებლებს გარკვეულ მასტერკლასებს უტარებდნენ. დასაქმების შუამავლები კი აწვდიდნენ ინფორმაციას, თუ რა ვაკანსიებია ყველაზე ხშირად გამოცხადებული ან რა ტიპის პიროვნული უნარებია მოთხოვნილი დამსაქმებლების მხრიდან. ასეთი ტიპის ინფორმაციები პრეზენტაციების სახით იყო წარმოდგენილი და ფესტივალის სტუმრებს იქვე სთავაზობდნენ საპრეზენტაციო უნარების განვთიარებისა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს.

ფესტივალი „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“ გარკვეული ტრადიციის სახით ჩამოყალიბდა და შემდეგ წლებშიც შევთავაზებთ პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს საშემოდგომო და საგაზაფხულო ფესტივალების კომპლექსურ სივრცეს, რომელიც პროფესიებთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციასა და კონსულტაციას მოიცავს.“

პროფესიული განათლების ფესტივალში სსსმ პირებიც მონაწილეობდნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წელს დაიწყო. ეს ნოვაცია მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების უზრუნველყოფას შემდგომი დასაქმებისათვის. საშემოდგომო მიღებისას, პროფესიულ სასწავლებლებში, 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ჩაირიცხა. მრავალფეროვანია საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც ისინი ეუფლებიან: მზარეული, ინფორმაციული ტექნოლოგი, ფოტოგრაფი, მეფილე-მომპირკეთებელი და სხვ. პროფესიულ სასწავლებლებში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აქტიურად მონაწილეობენ სოციალურ აქტივობებში.

წელს, პროფესიული განათლების ფესტივალის გახსნაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორმა პირმა დამსწრე საზოგადოებას პროფესიული განათლების პროცესში მიღებული გამოცდილება გაუზიარა. მათ ყურადღება გაამახვილეს პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე შემდგომი დასაქმებისათვის. მოუწოდეს ყველა დაინტერესებულ პირს, აირჩიონ მათთვის სასურველი პროფესია და გახდნენ უფრო რეალიზებულნი.

პროფესიული განათლების ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა კონკურსი პროფესიულ სასწავლებლებს შორის, რომელშიც ასევე ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები. ისინი ღირსეულად წარმოადგენდნენ თავიანთ პროფესიულ სასწავლებლებს.

„ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, პროფესიული განათლების პოპულარიზების მიზნით გამართული საგაზაფხულო ფესტივალი ერთ დღეს გაგრძელდა.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჩემი მომავალი მხოლოდ საქართველოში მესახება

რუბრიკის სტუმარია ნათია სესკურია

– ნათია, დამეთანხმები ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს, პერსონალურ რეზიუმეში ოქროს ასოებით შეავსოს განათლების გრაფა, არჩევანს უცხოეთზე აკეთებს. მიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან ინგლისამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ინგლისი?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენს რუბრიკაში მოწვევისთვის და გამოვხატო დიდი სიმპათია თქვენი გაზეთისადმი, იმ საქმისადმი, რასაც ემსახურებით. მიმაჩნია, რომ განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, რადგან ის პირდაპირ კავშირშია ქვეყნის წინსვლასა და განვითარებასთან. რაც შეეხება უცხოეთში განათლების მიღებას, ჩემი აზრით, საზოგადოების ინფორმირება ამ თემასთან დაკავშირებით აუცილებელია, რადგან ხშირად ხდება დაინტერესებული პირების დეზინფორმირება და გარკვეული სტერეოტიპების ჩამოყალიბება, რაც სინამდვილეში სიმართლეს არ შეესაბამება. შევეცდები, მოკლედ გიამბოთ ჩემი განვლილი გზისა და ინგლისური განათლების სისტემის შესახებ, რომელსაც, ჩემი აზრით, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. მოხარული ვიქნები, თუ საქართველოშიც დაინერგება მსგავსი სისტემა, რომ მომავალ თაობებს არ მოუხდეთ სამშობლოდან შორს გამგზავრება სრულყოფილი განათლების მისაღებად.

დავიწყებ სულ თავიდან, რადგან მიმაჩნია, რომ საუნივერსიტეტო განათლებამდე აუცილებელია ბავშვობიდან შრომისმოყვარეობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის უნარის ჩამოყალიბება, რასაც, ჩემი აზრით, უნდა ემსახურებოდეს სასკოლო განათლება.

წარჩინებით, ვერცხლის მედალზე დავამთავრე თბილისის სენტ-ეგზიუპერის ფრანგულ-ქართული კოლეჯი, სადაც ძალიან კარგად შევისწავლე ფრანგული ენა, რადგან განათლება ორენოვანი იყო. მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც მასწავლიდა, რადგან სწავლის პროცესი ჩემთვის ბავშვობიდანვე სასიამოვნო და საინტერესო იყო, ასევე ადრეულ ასაკში აღმოვაჩინე უცხო ენებისადმი დიდი ინტერესი და დღეს, მაღალ დონეზე ვფლობ ხუთ უცხო ენას: ფრანგულს, ინგლისურს, ესპანურს, რუსულს, იტალიურს. მომავალში დიდი სურვილი მაქვს, შევისწავლო კიდევ ორი უცხო ენა – პორტუგალიური და არაბული.

სკოლის დამთავრების დრო რომ ახლოვდებოდა, მე და ჩემმა ოჯახმა ერთობლივად გადავწყვიტეთ, განათლება უცხოეთში მიმეღო. საკმაოდ ადრეული ასაკიდან ვიცოდი უკვე რა პროფესიას უნდა დავუფლებოდი. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული განათლება მქონდა მიღებული და ეს ენა ჩემთვის მშობლიურივით იყო, არჩევანი მაინც ინგლისზე შევაჩერეთ, რადგან ინგლისის განათლების სისტემა ნამდვილად საუკეთესოა. თუმცა, ინგლისში სწავლა გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული, ანუ ეს იყო ბევრად რთული და გრძელი გზა, რომლის გავლაც სხვა ქვეყანაში წასვლის შემთხვევაში არ მომიხდებოდა. ინგლისში წასვლა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. ერთგვარი იდეა-ფიქსიც კი იყო ჩემთვის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში მესწავლა, თუმცა იმ უნივერსიტეტში მოსახვედრად, სადაც ახლა ვსწავლობ, აუცილებელი იყო ე. წ. ეი-ლეველის პროგრამის წარმატებით დასრულება. ეს არის წინასაუნივერსიტეტო, ორწლიანი მოსამზადებელი პროგრამა, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტებს შანსი აქვთ, სწავლა ინგლისის საუკეთესო უნივერსიტეტებში გააგრძელონ. იმის მიხედვით, თუ რა პროფესიის შესწავლა უნდა სტუდენტს, პირველ წელს ირჩევს საგნებს. თუ წლის ბოლოს ყველა საგანში გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, რაც საკმაოდ რთულია და დიდ ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ გამძლეობას მოითხოვს (მაგალითად, პირველ წელს 15 გამოცდის თითქმის მიყოლებით ჩაბარება მომიწია) და ყველა ლექტორი კარგ რეკომენდაციას დაწერს, მეორე წელს უფლება ექნება, დიდი ბრიტანეთის 5 უნივერსიტეტში, საბაკალავრო პროგრამაზე, გააგზავნოს აპლიკაცია, მოტივაციის წერილთან ერთად. ამ ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შემოთავაზებას იღებს უნივერსიტეტისგან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების და უნივერსიტეტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ხდება სტუდენტი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლეჯის სწორად შერჩევასაც, რადგან უნივერსიტეტები დიდ ყურადღებას ანიჭებენ კოლეჯის პრესტიჟს. ძალიან მადლიერი ვარ ქალბატონი ნარგიზ მაქაცარიასი, რომელიც კომპანიის „ი ელ ელ“ მფლობელია (საგანმანათლებლო სააგენტო „ი ელ ელ“, წამყვანი ბრიტანული, ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში, რომელიც უცხოეთში სასწავლებლად აგზავნის სტუდენტებს). სწორედ ის დამეხმარა საუკეთესო კოლეჯის შერჩევასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. თუმცა, რისკი იმაში მდგომარეობდა, რომ პროგრამის ეი ლეველ გავლის შემთხვევაში არანაირი გარანტია არ გაქვს, რომ აუცილებლად მოხვდები უნივერსიტეტში, ყველაფერი დამოკიდებულია მომზადებზე, განათლებასა და საკუთარი თავის სწორად წარმოჩენაზე. მაგალითად, იმ წელს, როდესაც მე ვაბარებდი, აპლიკანტების ყველაზე დიდი რაოდენობა იყო, სამწუხაროდ, 40 000 ადამიანი დარჩა უნივერსიტეტის გარეთ. განსაკუთრებით რთულია სამ უნივერსიტეტში მოხვედრა, სადაც ჩემ მიერ ზემოთ მოთხრობილი პროცესების გავლასთან ერთად, უნივერსიტეტის ლექტორებთან გასაუბრების გავლაა საჭირო. ეს უნივერსიტეტებია: ოქსფორდის, კემბრიჯის და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი UCL, სადაც ამჟამად ვსწავლობ. გამიმართლა, რადგან მაღალი შედეგები მქონდა, შემოთავაზება ძალიან მალე მივიღე და თან ინტერვიუს გარეშე. შემოთავაზება მქონდა ასევე ცნობილი და მაღალი რანგის უნივერსიტეტიდან – ლონდონის ეკონომიკის სკოლიდან (LSE), თუმცა მას შემდეგ, რაც ორივე უნივერსიტეტს ვეწვიე, კონსულტაცია გავიარე და მოვისმინე კომპეტენტური და გამოცდილი ადამიანების აზრი, გადავწყვიტე, რომ UCL იყო ის უნივერსიტეტი, სადაც უმაღლესი განათლება უნდა მიმეღო. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში.

ამ უნივერსიტეტში სწავლა ჩემთვის დიდი პატივია, უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი ოჯახის, ყველანაირი ხელშეწყობა მაქვს იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ბავშვობიდან მქონდა მოტივაცია და მიზანი. მე იმ ადამიანების კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებსაც დაბრკოლებების არ ეშინიათ, დიდი მიზნების განხორციელებას ხომ დიდი შრომა სჭირდება, ხანდახან რისკზე წასვლაც კი. ჩემ შემთხვევაში, რისკმა გაამართლა. თავიდან არჩევანის გაკეთების საშუალება რომ მქონდეს, ზუსტად იმავე რთულ, ამავდროულად, ძალიან სასიამოვნო და საინტერესო გზას გავივლიდი.

– მიამბე UCL ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

– ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი მულტიდისციპლინარული უნივერსიტეტია, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და წამყვან უნივერსიტეტად ითვლება, მუდამ ბრიტანეთის საუკეთესო უნივერსიტეტების სიის სამეულში და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ხუთეულშია. უკვე 4 წელია, QS-ის რეიტინგების მიხედვით, მსოფლიოს მეოთხე საუკეთესო უნივერსიტეტია, რომელიც 1826 წელს დაარსდა. UCL რიგით მესამეა ყველაზე ძველ უნივერსიტეტებს შორის და ინგლისში პირველი უნივერსიტეტია, სადაც თავის დროზე სწავლის საშუალება მიეცა ნებისმიერ ნიჭიერ ახალგაზრდას განურჩევლად ასაკისა, სოციალური მდგომარეობისა, სქესისა და რელიგიისა. UCL დაარსდა იმ დროისათვის წამყვანი ინტელექტუალების, უდიდესი ფილოსოფოსის ჯეიმს მილმის და ჯერემი ბენთამას (უტილიტარიანიზმის დამაარსებელი) მიერ ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე. საინტერესო და უცნაური ფაქტია, რომ UCL-ში უამრავი ტურისტი მოდის ჯერემი ბენთამას მუმიფიცირებული სხეულის სანახავად, რომელიც უნივერსიტეტის მთავარ შენობაში სპეციალურ კაბინეტ-სარკოფაგში განისვენებს. საქმე იმაშია, რომ ფილოსოფოსმა უნივერსიტეტის საავადმყოფოს შესწირა მთელი თავისი ქონება, იმ პირობით, რომ სიკვდილის შემდეგ, მას არ დამარხავდნენ და ამგვარად უკვდავყო საკუთარი თავი. ასევე UCL ცნობილია იმითაც, რომ უნივერსიტეტში რაოდენობრივად, ყველაზე მეტი პროფესორი ასწავლის, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს ასწავლიან მსოფლიოში გამოჩენილი და საუკეთესო სპეციალისტები, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატები.

UCL ერთ-ერთი ყველაზე დიდი მულტიდისციპლინარული უნივერსიტეტია, სადაც თავმოყრილია რამდენიმე მუზეუმი და 100-მდე სახელგანთქმული დეპარტამენტი, მათ შორის: სამართლის სკოლა, ინჟინერიის დეპარტამენტი, მედიცინისა და ტვინის მეცნიერებების დეპარტამენტი, BARLETT-ის არქიტექტურის სკოლა, სლავური და აღმოსავლეთ ევროპული კვლევების სკოლა, სადაც ამჟამად ვსწავლობ. ჩემი დეპარტამენტი მსოფლიოში კვლევის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცენტრია, რომელიც პირადად გახსნა ჩეხოსლოვაკიის პირველმა პრეზიდენტმა ტომაშ მასარიკმა. ასევე, ჩვენს დეპარტამენტში არაერთხელ გამოსულან სიტყვით ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი – ალექსანდრე კვასნევსკი და ჩეხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი – ვაცლავ კლაუსი.

– რა პროფესიას ეუფლები? რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი? რომელ კურსზე ხარ?

– ვარ პოლიტიკის ფაკულტეტის მესამე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. ჩემმა უნივერსიტეტმა საშუალება მომცა, ამერჩია ინტერდისციპლინარული პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვსწავლობ პოლიტიკას აღმოსავლეთ-ევროპულ სწავლებასთან ერთად. ამ კომბინირებულმა კურსმა ანალიტიკური, თეორიული და კონცეპტუალური ცოდნა მომცა ჩვენი რეგიონის, ასევე, რუსეთის ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის შესახებ.

ადრეული ასაკიდან მსურდა ისეთი განათლების მიღება, რომელიც საშუალებას მომცემდა, აქტიური მონაწილეობა მიმეღო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და მის მართვაში. როგორც საქართველოს მოქალაქე, ჩემთვის შეუძლებელი იყო, გულგრილად დავკვირვებოდი ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არ გამომეჩინა ინტერესი პოლიტიკური მექანიზმებისა და პროცესების მიმართ. ვიმედოვნებ, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, ჩემი განათლებით და მიღებული გამოცდილებით, შევძლებ წვლილი შევიტანო ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციაში, მდგრად განვითარებაში, დემოკრატიულ წინსვლასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

– სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის (ზოგიერთ ქვეყანაში სტიპენდიები გამოიყოფა საკონკურსო საწყისებზე ნიჭიერი სტუდენტებისთვის, უშუალოდ, სასწავლო დაწესებულების მიერ. შენ შემთხვევაში როგორ არის). რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები? არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– სამწუხაროდ, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, ინგლისში ინტერნაციონალური სტუდენტებისათვის არანაირი სტიპენდია არ არსებობს, უფრო მეტიც, ინტერნაციონალური სტუდენტებისთვის ორჯერ უფრო მეტია სწავლის საფასური, ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ამიტომაც მათ მთლიანად ოჯახი უზრუნველყოფს.

– ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.

– დიახ, ნამდვილად ასეა, არც კი ვიცი, რომელი ერთი დავასახელო. უამრავი წამყვანი ხელოვანი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, ექიმი, ფილოსოფოსი თუ საზოგადო მოღვაწე სწავლობდა UCL-ში. თავის დროზე, აქ მუშაობდა და სწავლობდა ნობელის პრემიის 27 ლაურეატი. ცნობილი პიროვნებებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ჯონ სტიუარტ მილის, უდიდეს ფილოსოფოსს, ვისი დიდი თაყვანისმცემელიც გახლავართ. ასევე, საყოველთაოდ ცნობილი ინდოეთის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი – მაჰათმა განდი; ტელეფონის გამომგონებელი – ალექსანდერ გრეიამ ბელი; კვიპროსის მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები; ხაიმ ჰერცოგი – ისრაელის მეექვსე პრეზიდენტი; იაპონიის ორი პრემიერ-მინისტრი; კენიის პირველი პრეზიდენტი; ჩინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ა. შ. ეს სია ძალიან გრძელია და ბევრ გამოჩენილ ადამიანს მოიცავს. UCL-ში გაიცნეს ერთმანეთი ცნობილი ბრიტანული როკ-ჯგუფის – Coldplay წევრებმა და შექმნეს ბენდი. ცნობილი რეჟისორი – კრისტოფერ ნოლანიც UCL-ის კურსდამთავრებულია და აღსანიშნავია, რომ საკუთარი ფილმების უმრავლესობაში, სულ ცოტა, ერთ სცენას მაინც იღებს საკუთარ ალმა მატერში. ნობელის ლაურეატების გარდა, უამრავი სხვადასხვა საერთაშორისო პრემიების მფლობელები არიან UCL-ის აკადემიკოსები და კურსდამთავრებულები. რამდენიმე აკადემიკოსი, რომელთაგან ერთ-ერთი ლექციებსაც მიკითხავდა, ბრიტანეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის მრჩეველია.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ (რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი)?

– სასწავლო პროგრამა მაქსიმალურადაა მორგებული სტუდენტის ინტერესებზე, რაც ძალიან საინტერესოს ხდის სწავლის პროცესს. ყოველ წელს არის რამდენიმე აუცილებელი საგანი: მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერება, რომელიც ყველა სტუდენტმა უნდა ისწავლოს, მაგრამ გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება გვაქვს, რომ ავირჩიოთ ის საგნები, რომლებსაც საჭიროდ მივიჩნევთ. მაგალითად, მე მქონდა საშუალება, მესწავლა მსოფლიოში წამყვან სპეციალისტებთან ლიტერატურა და ფილოსოფია, ასევე ფრანგულ ენაზე შევისწავლე ბიზნესი და საერთაშორისო ურთიერთობები, მქონდა არ-

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჩეული სხვადასხვა კურსი ისტორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის დეპარტამენტებიდან. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა ლექტორი, ვინც ლექციებს გვიკითხავს, მაღალ აკადემიურ წრეებში ძალიან ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებები არიან, წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობს ჩვენს უნივერსიტეტს ლექციების წასაკითხად. ცოტა ხნის წინ, უნგრეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა წაგვიკითხა ლექცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მომავლის შესახებ; ასევე, რამდენიმე თვის წინ, ცნობილმა თანამედროვე მარქსისტმა ფილოსოფოსმა – სლავოი ჟიჟეკმა ჩაატარა ლექცია ჩვენს დეპარტამენტში; გასულ წელს, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ოფიციალურად გახსნა UCL-ში უსაფრთხოების დეპარტამენტი და ცერემონიალზე სიტყვითაც გამოვიდა. ასე რომ, ცნობილი ადამიანები საკმაოდ ხშირად სტუმრობენ ჩემს უნივერსიტეტს.

– რა როლი უჭირავს ინგლისში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს საფუძვლიანი ცოდნის მიღებაში. ჩემს უნივერსიტეტში 16 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს უნიკალური წიგნების საცავით. ზოგიერთი მათგანი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს, რასაც ხშირად ვიყენებთ.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას ნაკლებად ვიცნობ. თუმცა, ვიცი, რომ დიდი განსხვავებაა სასწავლო პროგრამებში და მათ მოცულობაში. ბრიტანეთში მაღალი კლასის უნივერსიტეტებში ეს პროგრამები გათვლილია მხოლოდ და მხოლოდ ძლიერ პიროვნებებზე. პროგრამები შედგენილია ადამიანის მორალურ, ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და გონებრივ მაქსიმალურ ზღვარზე. ძალიან მკაცრად ჟღერს, მაგრამ ბუნებრივი შერჩევის პროცესი მოქმედებს – ვინც გადალახავს ყველა ამ ბარიერს, ის რჩება გამარჯვებული.

– გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– მუშაობის უფლება მაქვს ნახევარ განაკვეთზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ მთელ ჩემს დროს სწავლაში ვხარჯავ, ვეღარ ვმუშაობ. არდადეგების დაწყებიდან მეორე დღესვე, ყოველთვის, თბილისში მოვემგზავრები, რადგან რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ჩემს ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან. თუმცა, გასულ წელს საშუალება მქონდა, მემუშავა საქართველოს საელჩოში ვატიკანში, სადაც ძალიან კარგი გამოცდილება მივიღე. ჩემს უნივერსიტეტს აქვს სპეციალური დეპარტამენტი – კარიერების სერვისი, სადაც მუშაობენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც კავშირები აქვთ ყველა წამყვან ორგანიზაციასთან, კომპანიასთან და სახელმწიფო სექტორებთან. ისინი ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად ეხმარებიან შესაფერისი სამსახურის მოძებნაში და უგეგმავენ კარიერას. ასევე, თვეში რამდენჯერმე, გვიწყობენ სპეციალურ საღამოებს, სადაც მოდიან წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები და სტუდენტებს საშუალება გვეძლევა, პირადად გავესაუბროთ მათ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, სამი ცნობილი კომპანია დაინტერესდა ჩემი კანდიდატურით და სწავლის დამთავრების შემდეგ ორი შემოთავაზება მაქვს.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– სამწუხაროდ, თავისუფალი დრო თითქმის საერთოდ არ მაქვს, განსაკუთრებით წელს, რადგან დამამთავრებელ კურსზე ვარ და ვმუშაობ დისერტაციაზე. ამიტომ მთელ დროს ბიბლიოთეკაში ვატარებ და სხვადასხვა კონფერენციებსა და ლექციებს ვესწრები უნივერსიტეტში. არდადეგებზე, თავისუფალ დროს, ვმოგზაურობ, ვცდილობ რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ოჯახთან და მეგობრებთან, ვკითხულობ სხვადასხვა ლიტერატურას, განსაკუთრებით ფილოსოფიურ ნაშრომებს და ვმუშაობ წიგნზე, რომლის გამოცემასაც ვგეგმავ ახლო მომავალში. ასევე ძალიან მიყვარს ჩოგბურთი და თხილამურებზე სრიალი.

მომავალში ვგეგმავ, ამავე უნივერსიტეტში, გავაგრძელო სწავლა მაგისტრის ხარისხზე ან ოქსფორდის უნივერსიტეტში პოლიტიკისა და უსაფრთხოების განხრით. ასევე დიდი სურვილი მაქვს, დავიცვა დისერტაცია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი

სწავლის დასრულების შემდეგ, აუცილებლად ვაპირებ საქართველოში დაბრუნებას, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და მსურს მის წინსვლაში შევიტანო წვლილი. ამიტომ ჩემი მომავალი მხოლოდ საქართველოში მესახება.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– დიდი იმედი მაქვს, რომ ეს იქნება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი. ჩემი უნივერსიტეტი, დიდ ბრიტანეთში, დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობით, სამეულში შედის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მაქვს ინგლისში შემოთავაზებები, ვიმედოვნებ, რომ აქ მიღებული ცოდნის შესაფერის შემოთავაზებას მივიღებ საქართველოშიც, რადგან, სამშობლოში დაბრუნება მსურს!

– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად შესაძლოა ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე ძნელია. რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– პირველ რიგში, ვურჩევ მაქსიმალურად მოემზადონ ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ინტელექტუალურად ამ რთულ სამყაროში შესასვლელად. წინასწარ უნდა იყვნენ მზად იმისათვის, რომ კოლოსალური შრომის გაწევა მოუწევთ შესაბამისი განათლების მისაღებად.

– დაბოლოს, როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო გენატრება შენი ქალაქი და ქვეყანა, ამიტომაც, როგორც კი საშუალება მეძლევა, დაუყოვნებლივ ჩამოვდივარ თბილისში.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

სასკოლო აქტივობა

ამღერებული სტრიქონები

თბილისის №190 საჯარო სკოლისთვის (დირექტორი – **მაია გიორგაძე**) უცხო არ არის ისეთი გაკვეთილები, რომლებიც დასამახსოვრებელია არა მარტო მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც. სწორედ ასეთ გაკვეთილთა რიცხვს მიეკუთვნება 2014 წლის 3 აპრილს, XI[1] კლასში ქართულ ლიტერატურაში ჩატარებული გაკვეთილი, რომლის თემაც და დასათაურებაც თვითონ მოსწავლეებმა აირჩიეს „აკაკი – საქართველოს უგვირგვინო მეფე“ (პედაგოგი – **ნანა ვარდოსანიძე**).

გაკვეთილზე მოსწავლეებმა გამოიყენეს ტექნიკური საშუალებები, მოისმინეს აკაკის ხმის ჩანაწერი, ასევე მხატვრული კითხვის ოსტატების მიერ წაკითხული აკაკის ლექსები. თითქოს მათ ეჯიბრებიანო, აკაკის ლექსების მხატვრულ კითხვაში თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა: **ირაკლი ტალიკაშვილმა, გიორგი გიორგაძემ, მაგდა ოქროაშვილმა,** რომელმაც ისე გულიჩამწვდომად წარმოთქვა „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ“, რომ ცრემლიც კი მოგვადგა თვალზე. ასევე აკაკის შემოქმედების ღრმა ცოდნა გამოავლინეს მოსწავლეებმა: **დავით დოლიძემ, ნატა თეთრუაშვილმა, დათო** და **მარი ხომასურიძეებმა** და სხვებმა. გაკვეთილი დამთავრდა აკაკის ამღერებული სტრიქონებით „ციცინათელა“ და „სულიკო“, რომლებიც შეასრულა XI[1] კლასის მოსწავლემ, **სალომე დავითაშვილმა** თანაკლასელებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო XI[1] კლასში ჩატარებული ამ ტიპის პირველი გაკვეთილი, მათ ასეთივე გაკვეთილი ჩაატარეს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ.

ვუსურვოთ XI[1] კლასელებს, მომავალშიც დაინტერესდნენ ქართველი კლასიკოსების შემოქმედებით, რადგან მათი თვალსაწიერის გაფართოების ერთ-ერთი პირობა ესეცაა.

ნანა ვარდოსანიძე
XI[1] კლასის ხელმძღვანელი

 თვალსაზრისი

ვინ ქმნის სკოლის მისიას?

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, სკოლის მისიას ქმნის თავად სკოლა. ჩემი აზრით, ეს მცდარი შეხედულებაა. რატომ?

დავიწყოთ იმით, რომ სასკოლო სასწავლო საგნებს განსაზღვრავს სამი მხარე:

1. ხელისუფლება. სასკოლო სასწავლო საგნები განისაზღვრება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე, ხოლო ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს იღებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგენის შემდეგ, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. მაშასადამე, სასკოლო სასწავლო საგნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი არის ხელისუფლება.

2. სკოლა. ა) სკოლას აქვს უფლება მოსწავლეებს შესთავაზოს ესგ-ით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა უფლებამოსილია, მოსწავლეებს შესთავაზოს ესგ-ით გათვალისწინებული საგნების საათების მაქსიმალური რაოდენობა; ბ) სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეებს შესთავაზოს ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; გ) სკოლა უფლებამოსილია კლასის ფარგლებში სასწავლო საგნებისთვის განკუთვნილი აკადემიური საათების 25% გადაანაცვლოს საგნიდან საგანზე, რითაც გამოხატავს თავის პრიორიტეტულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგნის მიმართ. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ სკოლას შეუძლია ზოგიერთ საგანში გაზარდოს სწავლების ხანგრძლივობა, შემოიღოს ახალი საგნების სწავლება და ასევე გაზარდოს მისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მქონე საგნის სწავლების ხანგრძლივობა სხვა საგნის სწავლების ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე.

3. მოსწავლეები. მოსწავლეები საშუალო საფეხურიდან ირჩევენ საგნების გარკვეულ რაოდენობას.

როგორც ვხედავთ, სამი მხარე – ხელისუფლება, სკოლა და მოსწავლე განსაზღვრავენ სასკოლო სასწავლო საგნებს. თავის მხრივ, სასკოლო სასწავლო საგნების სწავლება არის მოსწავლის პიროვნების აღზრდის საფუძველი. სკოლის მისიის განაცხადში სწორედ რომ ამ პიროვნული თვისებების ასახვა ხდება. მაშასადამე, მისიის საფუძველი, მისი დეტერმინანტებია: ხელისუფლება, სკოლა და მოსწავლე.

მისიის ფორმირების ეტაპები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. ხელისუფლება – სკოლა – მოსწავლე;

2. სასკოლო სასწავლო საგნები;

3. მოსწავლის პიროვნება;

4. მისიის შემეცნების ჯგუფის მიერ სკოლის მისიის განაცხადის ჩამოყალიბება.

სკოლის მისიის შემეცნების ჯგუფმა საჭიროა გამოიკვლიოს აღნიშნული სამი მხარის მიერ შემოთავაზებული საგნები, ამ საგნების მიზნები, ანუ როგორი პიროვნების აღზრდას განაპირობებს ამ საგნების სწავლება და, აქედან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს სკოლის მისიის განაცხადი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სკოლის მისიას, ფაქტობრივად, ქმნიან სკოლის მისიის დეტერმინანტი მხარეები – ხელისუფლება, სკოლა და მოსწავლე, ვინაიდან სწორედ ისინი განსაზღვრავენ სასკოლო სასწავლო საგნებს და შესაბამისად, მოსწავლის პიროვნებას, რაც აისახება მისიის განაცხადში, ხოლო სკოლის დანიშნულება, მისიის ფორმირების მხრივ, არის სასწავლო საგნების გამოკვლევა, მათი მიზნების დადგენა – თუ როგორ პიროვნებას აყალიბებს მოცემული საგნები და, აქედან გამომდინარე, მისიის შემეცნება. მაშასადამე, სკოლა კი არ ქმნის მისიას,არამედ შეიმეცნებს მას. ამიტომ სკოლის მისიის ჯგუფს შეიძლება ვუწოდოთ მისიის შემეცნების ჯგუფი.

დავუშვათ, სკოლამ შექმნა მისიის განაცხადი, ჩამოაყალიბა გარკვეული პიროვნული თვისებები (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები), მაგალითად, ემოციური ინტელექტის პიროვნება, პრაქტიკული პიროვნება, პიროვნება, რომელიც ეფექტურად მართავს დროს და ა.შ. მეორე მხრივ, ხელისუფლების, სკოლის და საკუთრივ მოსწავლეების მიერ თუ არ არის შემოთავაზებული ის სასწავლო საგნები, რომელთა სწავლებაც აღნიშნული თვისებების მქონე პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს, იქმნება ვითარება, რომლის პირობებშიც სკოლა სხვა მიმართულებით ვითარდება, სხვა თვისებების პიროვნებას აყალიბებს, მისიის განაცხადში კი სხვა პიროვნული შტრიხებია აღნიშნული, ანუ მისია ხდება ფასადური, არარეალისტური და უმოქმედო დოკუმენტი.

ისმება კითხვა: უმთავრესად ვინ განსაზღვრავს სკოლის მისიას? მისიის დეტერმინანტი მხარეებიდან ძირითადია ხელისუფლება, ვინაიდან სასკოლო სასწავლო საგნების დიდი ნაწილი განისაზღვრება სწორედ ხელისუფლების მიერ. მისიის განსაზღვრის კუთხით სკოლას და მოსწავლეს გაცილებით მცირე წვლილი აქვთ, ვინაიდან ისინი გაცილებით მცირე რაოდენობით განსაზღვრავენ სასკოლო სასწავლო საგნებს.

სასკოლო სასწავლო საგნების დიდ ნაწილს ხელისუფლებასთან ერთად მოსწავლეც უნდა განსაზღვრავდეს.

როდესაც ვამბობთ, რომ სასკოლო სასწავლო საგნების და, მაშასადამე, მისიის ძირითადი დეტერმინანტი არის ხელისუფლება, **ეს არის სინამდვილე**. საჭიროა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ **როგორი უნდა იყოს სინამდვილე**, ანუ ვინ უნდა იყვნენ სასკოლო სასწავლო საგნების და მაშასადამე, მისიის ძირითადი დეტერმინანტები? ჩემი აზრით, მთავარი მხარე უნდა იყოს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ, ამავე დროს, მოსწავლეც. რაც იმას ნიშნავს, რომ სასკოლო სასწავლო საგნების დიდ ნაწილს, ხელისუფლებასთან ერთად, მოსწავლეც უნდა განსაზღვრავდეს. ამის უფლება მოსწავლეს უნდა მიეცეს საბაზო საფეხურიდანვე. თანაფარდობა, სასწავლო საგნების განსაზღვრის მხრივ, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: ხელისუფლება – 40%; მოსწავლე– 40% და სკოლა – 20%.

რატომ უნდა იყვნენ ხელისუფლება და მოსწავლე საგნების ძირითადი „მოკარნახეები“?

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლება არის კომპეტენტური მხარე, მას ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს სასკოლო სასწავლო საგნები, რომელთა სწავლებაც მოგვცემს ოპტიმალურ შედეგებს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების, ინდივიდის ბედნიერების განპირობების, თანამედროვე გლობალურ გარემოში ზნეობრივად კონკურენტუნარიანი პიროვნების აღზრდის თვალსაზრისით.

ხოლო ის, რომ მოსწავლეც უნდა განსაზღვრავდეს სასწავლო საგნების დიდ ნაწილს, იმიტომ არის საჭირო, რომ მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა იყოს სწავლით დაინტერესებული. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ალბერტ აინშტაინის ციტატა წერილიდან, რომელიც მან 1915 წელს თავის შვილს, ჰანს ალბერტს, მისწერა:*„გირჩევ დაუკრა ის, რაც ყველაზე მეტად გიყვარს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასწავლებელი არ დაგავალებს. ეს სწავლის საუკეთესო გზაა“...*

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.

სპორტი

უმედლოდ, მაგრამ ლიცენზიით



ახალგაზრდა ქართველი ბატუტზე მხტომელები უმედლოდ დარჩნენ პორტუგალიურ გიმარაეშში დასრულებულ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში, თუმცა პირნეებიდან მთლად ხელცარიელებიც არ დაბრუნებულან – აგვისტოში ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს II ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ორი საგზური მოიპოვეს – **თეონა ჯანჯღავამ** და **ზურაბ ნოზაძემ**. ჯანჯღავა მეოთხეზე გავიდა, რაც ავტომატურად იძლეოდა საგზურს, ნოზაძე კი მეხუთე იყო, თუმცა ოთხეულში ორი რუსი სპორტსმენი შედიოდა, რომელთაგანაც ერთი სალიცენზიო სიიდან ავტომატურად ამოვარდა და მის მაგივრად ნოზაძე შევიდა.

გიმარაეშში ჩვენი მთავარი იმედი **ანა ოდიშვილი** იყო, 15-16-წლიანთა შორის მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი სინქრონულ ხტომებში, სადაც ჯანჯღავასთან ერთად გაიმარჯვა. თუმცა ამჯერად მას ტექნიკურად განსხვავებულ ინვენტარზე მოუწია ასპარეზობა, რადგან შედარებით უფროს ასაკში გამოდიოდა, რასაც ალღო ვერ აუღო და 51-ე ადგილზე გავიდა.

ამავე დღეებში ნანჯინგის საგზური კიდევ ორმა ქართველმა მოზარდმა მოიპოვა – მოფარიკავე **ნიკა შენგელიამ** და მოცურავე **აკაკი ვაშაკიძემ**. დღეისათვის ქართული დელეგაციის მონაგარი 6 ლიცენზიაა, ანუ უკვე გაუმჯობესდა წინა თამაშების მაჩვენებელი, სადაც 5 სპორტსმენით გამოვდიოდით. არადა, საგზურებისთვის ბრძოლაში ჯერ არ ჩაბმულან ახალგაზრდა მოჭიდავეები, რაც ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალაა.

კასერესის სია

ესპანურ კასერესში დასრულებულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ათლეტები – ჩვენებურთა წილად 19 მედალი მოდის: 9 ოქრო, 6 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ეს მონაგარი ცალკეულ გუნდებზე ასეა გადანაწილებული: გოგონების გუნდი ესპანეთში ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი – **სალომე აბაშიძე** (56) და **ელენე ქებაძე** (+80). მათ მაქსიმალური შედეგი აჩვენეს და ორივემ ოქრო მოიპოვა. ჩვენი გუნდებიდან ყველაზე წარმატებით ახალგაზრდა ვაჟებმა იასპარეზეს და 10 მედალი ირგუნეს – 4-4 ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ამ გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ **ლერი ჭელიძე** (57), **ლაშა პარასკებაშვილი** (62), **მიხეილ მეზურნიშვილი** (82) და **ზაურ მამარდაშვილი** (90). **გიორგი მელქუაშვილი** (48), **ლერი ბედინაძე** (52), **თორნიკე ჭოველიძე** (68) და **რევაზ წულუკიძე** (100) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **ომარ ნიაზაშვილი** (74) და **გიორგი ლაზუაშვილი** (100) გავიდნენ. ამ ასაკში გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს.

დარჩენილი 7 მედალი ჭაბუკთა ნაკრების მონაგარია – 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ამათგან უკლებლივ ყველა შეხვედრის მოგება და ოქროს მედლების მოპოვება **ირაკლი კუპატაძემ** (52), **გიორგი მეტრეველმა** (65), **თორნიკე მახათაძემ** (70) და **ირაკლი გოგიამ** (87) შეძლეს. ფინალში დამარცხდნენ **კობა მჭედლიშვილი** (75) და **ჯაბა მუმლაძე** (+87), ბრინჯაოს მედალს კი **დავით წურწუმია** (60) დაეუფლა. გუნდურში ეს ნაკრები მეორეზე გავიდა. კასერესში კიდევ ერთი ქართველი გახდა ჩემპიონი – 20-წლამდელ გოგონებში 44 კილოგრამში **ლალი ქურდაძემ** გაიმარჯვა, ოღონდ ის რუსეთის სახელით

ჭიდაობდა. აღსანიშნავია, რომ ქურდაძე ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

გოგონებმაც იმარჯვეს

ქართველმა ჭაბუკმა მოჭიდავეებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს ანტალიაში, „გამარჯვების თასზე“, სადაც 14 მედალი მოიპოვეს – 5 ოქრო და 9 ბრინჯაო. აქედან 5 ჯილდო – 2 ოქრო და 3 ბრინჯაო თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა მონაგარია, 7 მედალი – 3 ოქრო და 4 ბრინჯაო ბერძენ-რომაელებმა მოინადავლეს, 2 ბრინჯაო კი გოგონების გუნდზე მოდის.

„თავისუფალთაგან“ ჩემპიონები **შმაგი თოდუა** (54) და **გივი მაჭარაშვილი** (100) გახდნენ, მესამეზე კი **თეიმურაზ ვანიშვილი** (46), **მამუკა ჩაჩუა** (58) და **ივერი ჯულაყიძე** (63) გავიდნენ.

ბერძენ-რომაელთაგან ოქროს მედლები არავის დაუთმეს **ნუგზარ წურწუმიამ** (42), **ჯონი ხეცურიანმა** (50) და **გურამ ხეცურიანმა** (76), მესამეზე კი **თორნიკე მელაძე** (42), **გიორგი კურტანიძე** (58), **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (63) და **გიორგი ბარბაქაძე** (85) გავიდნენ.

გოგონებიდან ბრინჯაოს მედლები გორელებმა – **გვანცა კარელიძემ** (38) და **ანი ნაზარაშვილმა** (56) მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ კარელიძე ანტალიაში შარშანაც მესამეზე გავიდა, რაც ქართველ ქალთა პირველი მედალია.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-V ტომი, – 11 ლარი

❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I-II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV-V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I-V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I-X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარპე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკობ ხუცესი
13. იოანე საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკები"

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22

გამომცემლობა „დიოგენე"

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია

საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

დიოგენე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >